



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030432669160517

№ 04-419/ო

20 / ივნისი / 2017 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის N04-429/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ (შემდგომში-პროგრამა) გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ საინფორმაციო პორტალზე სამედიცინო მომსახურების ნუსხის განახლებისა და სატარიფო არეალების დაანგარიშების ოპტიმიზაციის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 16 ივნისის №01/38969 წერილის, ასევე, საქართველოს კლინიკური ონკოლოგიის ასოციაციისა და საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის წერილების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის N04-429/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები:

ა) ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ბ¹“ ქვეპუნქტი, შემდეგი რედაქციით:

„ბ¹) 2017 წლის 1 ივლისიდან გაცემული მატერიალიზებული ვაუჩერებისთვის, საინფორმაციო პორტალზე ქიმოთერაპიული და ჰორმონოთერაპიული მომსახურების წარმოდგენა და ჩარევების დაჯგუფება მოხდეს ამ ბრძანების დანართი N5.1-ით გათვალისწინებული წესით“;

ბ) ბრძანების მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „დ¹“ ქვეპუნქტი, შემდეგი რედაქციით:

„დ¹) 2017 წლის 1 ივლისიდან გაცემული მატერიალიზებული ვაუჩერებისთვის, საინფორმაციო პორტალზე სხვიური თერაპიის მომსახურების წარმოდგენა და ჩარევების დაჯგუფება მოხდეს ამ ბრძანების დანართი N6.1-ით გათვალისწინებული წესით.“

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების გაგზავნა/გადაცემა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის, დირექტორის აპარატის, სააგენტოს აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

გ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი), ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე